ინფორმაცია ნაკვეთების შესყიდვის და სახელმწიფო ვალდებულებების შესახებ

ნაკვეთები:

01.18.01.002.203 – 397577 კვ.მ

01.18.01.002.223 - 4433 კვ.მ

1. 2007 წლის 13 ივნისს დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ (პირდაპირი განკარგვის წესით). მხარეები არიან **ქ. თბილისის მერია** და **„ფინსერვისი XXI.”**
2. ხელშეკრულების შესაბამისად, ნასყიდობის საგანია მიწა კოდით 01.18.01.001.002, ფართი - 100 000 კვმ. ფასი - 1.კვმ ნორმატ. ფასი **36 ლარი.** პირობა- **რეკრეაციული ფუნქციის შენარჩუნება მშენებლობის უფლების გარეშე.**
3. 2016 წლის 22 ნოემბრის შეთანმხმებით, პირობა შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

მყიდველს უფლება აქვს:

- 8000 მკვ-ზე განხორციელდეს მშენებლობა;
- დარჩენილ ნაწილზე განხორციელდეს სპორტული ინფრასტრუქტურა მათ შორის გოლფის მოედნები, გზები, ბილიკები, დამხმარე/ტექნიკური ნაგებობების მშენებლობა/მოწყობა, რეკრეაციული ფუნქციის შენარჩუნების პირობით;

მყიდველი ვალდებულია:

- ზემოაღნიშნული ორი პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიზნით, 2020 წლის 31 დეკემბრამდე მისი ან მესამე პირების მეშვეობით უნდა განახორციელოს მინიმუმ 5 მილიონი ლარის ინვესტიცია.

4. **2016 წლის 29 ნოემბრის** ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „თაბორი რიზორთს“-მა შპს „ფინსერვისი XXI”-გან იყიდა ზ/ა ნაკვეთი - ს/კ 01.18.01.001.002. ღირებულება - 1 მ2 – 36 ლარი. ფართი - 100 000 კვმ. ხელშეკრულების შესაბამისად შპს „თაბორი რიზორთსმა იკისრა ვალდებულება შეესრულებინა საინვესტიციო ვალდებულება, მოცემული 2016 წლის 22 ნოემბრის შეთანმხმებით;

5. 2016 წლის 13 მაისის პირობებით გამოცხადებული აუქციონის შესაბამისად თაბორი რიზორთსი ყიდულობს მიწას ფართობით - 29 7576 კვ.მ, რომლის ღირებულება შეადგენდა 6 326 495 ლარს. (სკ 01.18.01.002.160)

აუქციონის პირობების მიხედვით თაბორი რიზორთს დაევალა:

a) სამშენებლო ნებართვის აღებიდან არაუგვიანეს 36 თვის ვადაში მაგრამ ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 48 თვის ვადაში განახორციელოს არანაკლებ 80 ნომრიანი

სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, განაშენიანების ფართი (გარდა ტექნიკური / დამხმარე ფართისა) უნდა იყოს არაუმეტეს 20000 კვ.მ, მოაწყოს სასტუმროსთვის ავტოსადგომი (არანაკლებ 50 ავტოსატრ. საშუალებაზე).

b) სააუქციონო ვალდებულებების შესრულებამდე პერიოდში განახორციელოს მწვანე ნარგვების მოვლა-პატრონობა, განახლება (ხე ნარგავებისს შერგვა), ტერიტორიის კეთილმოწყობა, რეკრეაციული სივრცის განვითარება და საირიგაციო სისტემის მოწყობა.

6. 2016 წლის 6 დეკემბერს, #01-8/8207 წერილით შპს „თაბორი რიზორთსი“-ს მიმართ, ქონების მართვის სააგენტომ თაბორი რიზოსთსს მიანიჭა უფლება **გააერთიანოს ს/კ 01.18.01.002.160 ნაკვეთი, ს/კ 01.18.01.001.002 ნაკვეთთან, რის შედეგადაც შემდგომში წარმოიშვა დღეს არსებული ნაკვეთი - ს/კ 01.18.01.002.203, ფართობი - 397577 კვ.მ, იმ პირობით, თუ ის შეასრულებდა ზემოთ ჩამოთვლილი A და B პუნქტებით გათვალისინებულ ვალდებულებებს** (2016 წლის 13 მაისის აუქციონის პირობებით)

- სამშენებლო ნებართვის აღებიდან არაუგვიანეს 36 თვის ვადაში მაგრამ ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 48 თვის ვადაში განახორციელოს არანაკლებ 80 ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, განაშენიანების ფართი (გარდა ტექნიკური / დამხმარე ფართისა) უნდა იყოს არაუმეტეს 20000 კვ.მ, მოაწყოს სასტუმროსთვის ავტოსადგომი (არანაკლებ 50 ავტოსატრ. საშუალებაზე).

- სააუქციონო ვალდებულებების შესრულებამდე პერიოდში განახორციელოს მწვანე ნარგვების მოვლა-პატრონობა, განახლება (ხე ნარგავებისს შერგვა), ტერიტორიის კეთილმოწყობა, რეკრეაციული სივრცის განვითარება და საირიგაციო სისტემის მოწყობა.

რაც შეეხება ნაკვეთს რომელიც შეძენილია 2017 წლის 19 ოქტომბერს - **4433 კვ.მ ს.კ 01.18.01.002.223** . ღირებულებით **102,000 ლარი.** (ხელშეკრულება უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ, 2017 წლის 19 ოქტომბერი. მხარეები - ქონების მართვის სააგენტო და შპს „თაბორი რიზორთსი.“);

შპს თაბორი რიზორთს **დაევალა**:

- **ნაკვეთის გამოყენება დამხმარე/ტექნკური ნაგებობის განთავსებისთვის, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სარწყავი სისტემის სამართავი ცენტრი, სასაწყობოები, დამხმარე ფართები, გამწვანების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი ტექნიკა და აღჭურვილობის სადგომი, ასევე, მსგავსი ტექნიკური დანიშნულების სხვა ობიექტების განსათავსებლად;**
- **ზოგადი: გასხვისება/დატვირთვა/სარგებლობით გადაცემა შეათანხმოს, იზრუნოს ნაკვეთის მოვალა-პატრონობა-დაცვაზე;**

- შესაბამისი ნუსხის ექსპერტის დასკვნით დაადასტუროს ვალდებულების შესრულება;